ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი

14.08.2020
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ალექსანდრე მახათაძე, ირაკლი მარშანიშვილი, გოგი მორჩილაძე.

საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ოთარ პატიეშვილი, ზურაბ კუკულავა, ზაზა წულაძე (შვებულება), კარლო კვიტაიშვილი (შვებულება).

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „შპს ფეხბურთის კლუბ „გურიას" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „შპს ფეხბურთის კლუბ „გურიას" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 27 მაისს მუნიციპალიტეტში შემოვიდა ლანჩხუთის „გურიას" მმართველი კომპანიის ჯი ბი არ - ის დირექტორის ბატონ საბა ჯაფარიძის წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი კლუბის შემდგომი ფუნქციონირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კლუბის კერძო მფლობელობაში გადაცემისათვის მიზანშეწონილია დაფუძნდეს შპს „ლანჩხუთის გურია", რომელიც შემდგომ ჩაანაცვლებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის გურიას" არსებული ვალდებულებების პასუხისმგებლობით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. დაფინანსება მოხდება ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ა(ა)იპ ლანჩხუთის გურიისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

მან ასევე აღნიშნა, რომ შპს-ს არსებობის უპირატესობა ის არის, რომ შესაძლებელია საფეხბურთო კლუბის განვითარებისთვის ჩაიდოს ინვესტიცია და მომგებიანი გახდეს საქმიანობა.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბ „გურიას“ წლების მანძილზე საკმაოდ ბევრი შემოთავაზებები ჰქონდა დაინტერესებული პირებიდან, მაგრამ თვლის რომ ამ ეტაპზე საფეხბურთო კლუბის განვითარებისთვის ეს საუკეთესოა და მიზანშეწონილად მიაჩნია დაფუძნდეს შპს საფეხბურთო კლუბი „გურია“.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: / **გიორგი ჩახვაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა № 7

14.08.2020 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 14 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „შპს ფეხბურთის კლუბ „გურიას" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „შპს ფეხბურთის კლუბ „გურიას" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

14.08. 2020 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 55	
2	ზაზა წულაძე	[illegible]	
3	კარლო კვიტაიშვილი	[illegible]	
4	ალექსანდრე მახათაძე	11 00	
5	ზაალ სანაძე	10 55	
6	ოთარ პატიეშვილი	—	[illegible]
7	ზურაბ კუკულავა	—	[illegible]
8	ირაკლი მარშანიშვილი	11.00	
9	გოგი მორჩილაძე	10.55	